# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 08

2018 წ. "20" 03

ქ.თბილისი

**„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 02 სექტემბრის №33-ე და „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №16-ე გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 02 სექტემბრის №33-ე გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არქიტექტორ - ტექნიკოსი (1)[1] | მეოთხე | არქიტექტორ - ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153 | 84 | 114 | ქართული | 20 | თბილისი, კოსტავას ქ. №68; |
| 2 | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1) | მესამე | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679 | 80 | 95 | ქართული | 20 | თბილისი, კოსტავას ქ. №68; |
| 3 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (1) | მეოთხე | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080381 | 114 | 144 | ქართული | 10 | თბილისი, კოსტავას ქ. №68; |
| 4 | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (1) | მეოთხე | სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040778 | 98 | 128 | ქართული ენა | 20 | ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 |

[1] (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

2. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №16-ე გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მექატრონიკა (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში 040570 | 120 | 150 | ქართული | 24 | თბილისი, კოსტავას ქ. №77;<br><br>კოსტავასქ. №68; |
| 2. | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში 040861 | 120 | 150 | ქართული | 24 | თბილისი, კოსტავასქ. №77;<br><br>კოსტავას ქ. №68; |
| 3. | მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი (1) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569 | 70 | 100 | ქართული | 24 | თბილისი, კოსტავას ქ. №77;<br><br>კოსტავას ქ. №68; |
| 4. | სამრეწველო ავტომატიზაცია (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში<br><br>040356 | 120 | 150 | ქართული | 24 | თბილისი, კოსტავას ქ. №77;<br><br>კოსტავას ქ. №68; |

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №03 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი